№ 252. 2 ნოემბერი, ოთხშაბათი. 1866 - 1881 2 დეკემბერი, ოთხშაბათი. № 252

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდსაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ... ასოზე ნახევარი კაპ.; წვრილად ... ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებისა“-„ივერია“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

[stamp]

პედაგოგიური რჩევა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა სთხოვს ამ სასწავლებელში მყოფ მასწავლებლის მიცვალებულის **კონსტანტინე დავითისძი ნაცვლიშვილის** ნათესავებთა და ნაცნობებთ მობრძანდნენ მის პანაშვიდზე, რომელიც დანიშნულია კვირას 6 ქრისტეშობისთვეს, დილის $11^{1}/_{2}$ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

სახაფხულო თეატრში

მეოთხე აბონემენტის რიცხვში

**დღეს, 2 დეკემბერს**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**I**

## ორ ცეცხლს შუა

დრამა 3 მოქმ., ემილ დე-ჟირარდენისა, ნათ. ფრანც. ივ. მაჩაბლისაგან.

**II**

## საძაგელი

კომედ. 2 მოქმ. თ. დ. ერისთავისაგან.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7^{1}/_{2}$ საათზე.

თეატრი გამთბარი იქნება.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი, 30 ნოემბერს.** სამხედრო სასამართლომ გადაწყვიტა: ტეგლევს და ფურსკოვს ჩამოერთვათ უფლებანი და უპირატესობანი, მროზინსკის ამას გარდა ჩამოერთვას სამხედრო წოდება და ყველანი გაიგზავნონ საცხოვრებლად არხანგელსკში იმ პირობით, რომ სამის წლის განმავლობაში აღკრძალული ჰქონდეთ იქიდამ სხვაგან სადმე წასვლა. ეს გარდაწყვეტილება მიერთვას ხელმწიფე იმპერატორს. ხარჯი სასამართლოსი ბრალდებულთ გარდახდეს. გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანამდინ დამნაშავენი შინ უნდა იქმნენ დამწყვდეულნი.

თფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შუამდგომლობის გამო, ამ გუბერნიების აღმორჩევითი ცენზი შემცირდება.

**პეტერბურღის ბირჟა, 30 ნოემბ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 99 | 62 |
| მეორესი | 90 | 75 |
| მესამესი | 91 | „ |
| მეოთხესი | 91 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 90 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | „ |
| ოქრო, $^{1}/_{2}$ იმპერიალი | 7 | $77^{1}/_{2}$ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 222 | 75 |
| მეორე სესხის | 215 | 75 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | 25—40 | პენსი |
| ბერლინი | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი | 217—50 | ცენტი |
| პარიჟი | 267—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — — — | |

## თფილისის თეატრის საქმე.

თფილისი, 1 დეკემბერს.

წლევანდელისთანა უბედური თეატრალური სეზონი მას აქეთ, რაც თფილისში თეატრი დაარსდა, არვის მოსწრებია. არც იტალიური და არც რუსული ოპერის ტრუპა აღარ არის; ვილაც ყველგან დაწუნებული დრამატიულ დასის ნაგლეჯები ჩამოიყვანეს ამას წინად და ისიც გაიფანტა, რადგან ამ გვარ ტრუპპის წარმოდგენებზე კაცი არ დაიარებოდა და არტისტები(?) შიმშილით კინაღამ ამოწყდნენ; თვითონ ანტრეპრიონერი ჩვენის თეატრისა ბ. პალმი, თითქმის გაკოტრებული, გაიქცა აქედამ ოდესსაში, იქაური თეატრი აილო, ოპერის დასის საშუალებით აპირებდა „საქმეების გასწორებას,“ მაგრამ გაზეთებში გამოცხადებულია, რომ იქაც გაკოტრებულა.

აქაური თეატრს დაეპატრონა მამაპალმისა; მაგრამ იმის ხელში საქმემ იქამდინ მიაღწია, რომ დასამ და თეატრში მოსამსახურე პირებმა, სხვა რომ არაფერი ჰქონდათ საჭმელი და შიმშილით კუჭი ეწოდათ, რადგან პალმი სამი-ოთხი თვის განმავალობაში ჯამაგირს არ აძლევდა,—ერთმანეთს წალები კინაღამ დაუჭამეს!

ახლა ვილაც ვლადიკავკასის ნაადვოკატარი კუპმანი ჩამოვიდა და იმან იკისრა ჩვენი თეატრის ანტრეპრიონერობა და რუსულ დრამატიულ დასის შედგენა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბ. კუმპანს რაღაც ცუდი ხმები მოუძღვის ვლადიკავკასიიდამ და ამას გარდა, იმასაც თუ წარმოვიდგენთ, რომ იმას მოჰყავს აქ ვლადიკავკასის დრამატიული დასი, უნდა ვიფიქროთ, რომ პალმზე მომეტებულ ნუგეშს არც ამ ახალ ანტრეპრიონერისაგან უნდა მოველოდეთ.

ამისთანა მდგომარეობაშია დღეს ის თეატრი, რომელშიაც ერთ დროს ისეთი მოთამაშეები და მომღერალნი ყოფილან, რომელთაც შემდეგ მთელს რუსეთში და ევროპაშიაც კი გაუთქვამსთ სახელი.

უმთავრესი მიზეზი ჩვენის თეატრის ასე დაცემისა, ჩვენის აზრით, ის არის, რომ თეატრი ისეთ კაცებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც ერთის მხრით, სცენის მოთხოვნილებისა და, მეორის მხრით, ჩვენი საზოგადოების ჭკუაგონებისა და გემოვნების მოთხოვნილებისა არა ესმით-რა.

მთავრობისაგან დაყენებული დირექცია ოფიციალურად ეკიდება საქმეს; ის მხოლოდ იმას ჰფიქრობს და ზრუნავს, რომ სცენაზე ისეთი არაფერი ითამაშონ ანუ იმღერონ, რომ მთავრობისა ანუ ზნეობის წინააღმდეგი იყოს. თუ ეს შესრულა, ასე ჰგონია საქმე გაარიგა და თეატრის საქმე რიგიანად მიდის.

ანტრეპრიონერები ისეთი ამოგვიჩნდნენ ამ ბოლო დროს, რომელთაც არ ესმისთ—თუ რა არის საზოგადოების ესტეტიურ გრძნობის დაკმაყოფილება, რომელთაც არ იციან—თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს, და ამიტომაც ყველაზე უფრო თავის საკუთარ ჯიბის დასა-

---

«დროების» ფელტონი, 2 დეკემბ.

## მწარე განსაცდელი

(გუმდვნი თანამოძმეთ)

ეს თვე ჩემს ცხოვრებაში შესანიშნავი ეპოქაა. ეს დრო მე ისე მეჩვენება, როგორც ვრცელ ვაკის დასასრულს მაღალი გრძელი ქედი, რომლის შემდეგაც შესაძლებელია დაიწყოს ვაკის ნაცვლად მთიანი, კლდოვანი და უსწორ-მასწორო სივრცე, ანუ თუ ეს არა, ცხადად საგრძნობელი განსხვავება მაინც ორთა მხრის ბუნების შუა.

საუკეთესო და უსაძაგლეს მიმართულების შუა კაცის ცხოვრებაში ხშირად ერთი ბიჯია: შეიძლება განგებამ, ანუ უფრო მატერიალური სახე რომ მივსცეთ, გარემოებამ გადიაროს და მიჰმართოს ბიჯი იმ კვალს, რომლის დასასრული არის გულით სანატრელი კმაყოფილება. შეიძლება ისიც კი, რომ ერთი მცირედი სკუპი საკმარისი იყოს წინაალმდეგ მხარეს, რომ ჩაინთქა ბნელ უფსკრულში, სიდგანაც ველარ აძრომ თავს თვით ძველად ნათქვამ მოჯადოებულის ძაფის შემწეობითაც კი...

ჩემი ჩვეულებრივი სიცოცხლის დენა შესცვალა უფრო რთულმა პირობებმა, რომლის წინააღმდეგაც ვიბრძოლე, ვიშავდლევე და ბოლოს დავიმარცხე და გავხდი მსხვერპლი დაუნდობარი „ბედის წრისა“.

ეს მესამედ ჩავიდინე ის დიდი სისაძაგლე, რომლის წინააღმდეგ პირველად ენერგიით ვიბრძოდი და დახვედის მუხანათობას, რომ დღეს მე თვითონ შევიქენ საზარელი მსახური ბოროტებისა, სულის სიმდაბლის და უგრძნობლობისა...

მას აქეთ ეს მერვე დღეა, დავაპირე ჩემის საჭირო საქმეების გამო წასვლა ქალაქს №-ში. კარგა ხანია მე იქ აღარ ვყოფილვიყავი; მცირედ ჯამაგირს ნდობის ქაღალდის შემწეობითაც ვიღებდი, რა არის—ერთი-ორი შაური უკან დამრჩეს-მეთქი. ეხლა კი უეჭველად უნდა წავსულიყავ, ისიც ჯამაგირისთვისაც არა: ჯამაგირი წინათვე მიღებული მქონდა და, ასე იფიქრეთ, დახარჯულიც; დამრჩა მხოლოდ რაოდენიმე საცოდავი მანეთი. ამით მე უნდა მომევლო მახლობელი მაზრის ქალაქი და, შეძლებისადა-გვარად, აღმესრულებინა სავაჭრო სია. არც ნახუთალი მქონდა იმისა, რაც სიაში იყო მოხსენებული, თუმცა ჩემი ძირ გავარდნილი ჯიბის პატრონი ან კი რას განვიძრახავდი იმდენს? მაგრამ მაინც კიდევ..... ხომ მოგეხსენებათ—წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო: ვფიქრობდი, იქნება და გატყვრეს სადმე რამე მეთქი. თუ სადმე მეგობრებში და ნაცნობებში ოდესმე რამ გამეცა, ეხლა ყველა მოვიგონე და გადავსწყვიტე ფოშტაში მეკითხნა, ფულის პაკეტი ხომ არა არის-რა მეთქი ჩემს სახელობაზედ. მხოლოდ ვფიქრობდი, თორემ ნამდვილად კი დარწმუნებული ვიყავ, რომ მე ფოშტაში ცალი ფულიც არა ვისგნით არ დამხვდებოდა...

— მამა, შენ გენაცვალე, ქალაქში ახალი კაბა და პოსაპოშკები მიყიდე. შენი დარო არა ვარ! დამიწყო ვედრება კისერზედ ჩამოკონწალებულმა და თვალებში შემომცქერალმა ბავშმა გულ-მოსაკლავის ხმით და რაც სიტყვით ასი ამოდენი მაგრძნობინა მშვენიერი ჟუჟუნა თვალებით.

ქვა უნდა იყოს, კლდე უნდა იყოს, მამა, რომ ამ ტიტინა ბალანას კოცნით არ გაგრძნობიერდეს! — ზურგს არ ვაღრეკდი ამ დროს უკიდურეს სისაძაგლესაც კი, ოღონდ მომცემო-

კმაყოფილებლად, გავსებისათვის ზრუნვენ.—დღეს აქა ვარ, ხვალ ასტრახანში ამოვყოფ თავსო ჩემის დასით—ჰფიქრობენ ისინი და ამიტომაც თეატრის საქმის კეთილ-სინდისიანად წაყვანისათვის, საზოგადოების სარგებლობისათვის და სხვა ამგვ. თავს არ იწუხებენ.

ამიტომაც არის, რომ რუსული თეატრის ხსენება აღარც კია ჩვენს ქალაქში ამ ჟამად. თითქმის არავინ არ დაიარება რუსულ წარმოდგენაზედ და ბევრმა ისიც არ იცის—იმართება თუ არა ქალაქში ამ ჟამად რუსული წარმოდგენები.

ასე უოპეროდ და უთეატროდ ტფილისის საზოგადოების დატოვება არ შეიძლება. მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და, სანამ ახალი, დიდი თეატრი აგვიშენდება, მანამ უნდა იზრუნოს ჩვენის თეატრის ფეხზე დასაყენებლად. ამისათვის ორი რამ არის საჭირო: ოფიციალური გავლენის მოსპობა და ისეთი მოთავის ამორჩევა ანტრეპრენიორად, რომელსაც თეატრისა და საზოგადოების ამ მხრით დაკმაყოფილებისა რამე გაეგებოდეს და მარტო თავის კერძო სარგებლობას არ მისდევდეს.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე, ადგილობრივ სცენებსაც: ქართული და სომხური სცენები ერთობ აუცილებელად საჭირო შეიქნა ტფილისის ხალხისათვის, ამათი უყურადღებოდ დაგდებაც არ შეიძლება, ამათაც ხელი უნდა მოუმართოს, რითაც შეიძლება, მთავრობამ.

ამ საგნის შესახებ ჩვენ შევიტყვეთ ერთი ამბავი, რომელიც ძლიერ სასიამოვნოდ მიგვაჩნია და რომლიდამაც სჩანს, რომ ჩვენს მთავრობას კარგად ესმის ადგილობრივ სცენების მნიშვნელობა ხალხისათვის:

ახალმა ანტრეპრენიორმა ბ-მა ქუპმანმა გამოუცხადა თურმე ამ დღეებში ქართულ თეატრის მოთავეებს ბბ. ვ. აბაშიძეს და კ. მესხს, რომ ოთხშაბათობით თეატრს ვერ მოგცემთო და ვერც ისე იაფად, როგორც დღემდის (ესე იგი, თითო საღამოში 120 მან.) თუ გნებავთ, შაბათობით ითამაშეთო (დაცინება — რადგან შაბათობით წარმოდგენები მთავრობისაგან აკრძალულია), თეატრი ჩემია, მინდა მოგცემთ, მინდა არაო. ამის გამო ქართულ თეატრის ზემოხსენებულ მოთავეებმა კავკასიის მთავარ-სამმართველოს გამგეობის უფროსს მიმართეს თხოვნით, რომ მიექცია ამ გარემოებისათვის ყურადღება და თითო დღე დაეთმოთ კვირაში ქართულ წარმოდგენებისათვის. მთავარ სამმართველოს გამგეობის უფროსმა დიდის თანაგრძნობით მოისმინა ამათი თხოვნა და იმ წამსვე აუსრულა კიდეცა: მაგრამ აუსრულა ნათხოვნზე მეტიც: თეატრისათვის ქართველებმა მხოლოდ იმდენი უნდა გადიხადონ, რამდენიც ხარჯია თეატრისა, (ესე იგი თითო საღამოს 70-80 მანეთამდინ) ანტრეპრენიორთან თქვენ არაფერი საქმე არ გექნებათო, მთავრობა ცდილობსო, რომ ადგილობრივ სცენას ხელი მოუმართოსო და სხვ. და სხვ.

ვიმეორებთ, რომ ეს ამ გვარი შეხედულება ჩვენი მთავრობისა ადგილობრივ სცენებზე ძალიან სასიამოვნო და მართებულ შეხედულებად მიგვაჩნია.

## ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ცნობა ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწის თ. ანტონ ნაკაშიძის მოკვლის შესახებ:

„თ. ანტონ ნაკაშიძე მოჰკლეს 19 ნოემბერს საღამოს მეექვსე საათზე, თავის სახლიდამ ორას საჟენის სიშორეზე, იმ დროს, როდესაც ის ქუთაისში ემგზავრებოდა. თოფი მარცხენა ძუძუში ჰკრეს და ტყვია მარჯვენივ გამოვარდა. ძლივს მოასწრეს წმ. საიდუმლოს მიღებინება.

„მკვლელი დღესაც გაქცეულია. ის არის სოფ. შემოქმედის მცხოვრები გლეხი ლომჯარია.

„აქაური სასამართლო და ადმინისტრაცია გაცხარებით იკვლევს, უნდა შეიტყოს—თუ, ლომჯარიას გარდა, ვინ მიიღო მონაწილეობა ამ მკვლელობაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაწვრილებით ვერა შეუტყვიათ-რა. ეს მეოთხე დღეა, რაც ქუთაისის ღუბერნატორიც ჩამოვიდა და აქ არის.“

* * *

გაზ. „პორიადოკში“ დაბეჭდილია:

„დაბეჯითებით ამბობენ, რომ ნოვოროსიის ღენერალ-ღუბერნატორი თ. დონდუკოვ-ქორსაკოვი კავკასიაში შემოსაღებ ცვლილებათა თაობაზედ მოსალაპარაკებლად არის პეტერბურღში ტელეგრამით დაბარებულიო.“

* * *

რუსის მთავრობამ ორი ექიმი გაგზავნა არზრუმში იმის გამოსაძიებლად—მართლა არის იქითკენ გავრცელებული ჟამი, თუ არაო. რუსის სტამბოლელ ელჩს ბ. ნოვიკოვს მოუთხოვნია ოსმალოს მთავრობისათვის, რომ იმანაც გაგზავნოს ამავე მიზნით თავის მხრით ორი ექიმი.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

„ყველამ ვიცით, რომ პირველი მიზეზი უწინდელ ახალგაზდობის სწავლა-დაუსრულებლობისა და განათლების შუა გზიდგან გადადგომისა იყვნენ უმეტეს ნაწილად უსწავლელი, გონება-გაუხსნელი მასწავლებლები. მათთვის პედაგოგია პურიც იყო და ღვინოც. პირველი და უკანასკნელი როლი ყმაწვილების აღზრდაში, მათ გონების განვითარებაში უჭირავს მასწავლებელს, თითო ნერგს როგორც გასურს, ისე გაზრდი. ყმაწვილის მომავალი სვე-იღბალი დამოკიდებულია პირველ-დაწყებით სწავლაზე; ეს არის საძირკველი, რომელზედაც ფუძნდება შემდეგი ყმაწვილის სწავლა-განათლება. მაშასადამე, ყმაწვილს პირველად ნამეტურ ეჭირვება დახელოვნებული, გაწვრთნილი სწავლებაში ოსტატი.

„მეგონა, რომ მოუმზადებელ მასწავლებლებს მივარდნილ სოფლებში თუ-და აქვთ დარჩენილი ბურთი და მოედანი; მაგრამ, როგორც ვხედავთ, არც ეს ჩვენი განათლებული დედაქალაქი ყოფილა მოკლებული იმ ნაირ მასწავლებლებს. ამ ნაირ ცრუპედაგოგებს დროა ყურადღება მიექცეს, მათი უმეცრების მსხვერპლად ხდებიან არა ერთი და ორი ყმაწვილი, არამედ ათობით და ასობით.

„სწორედ ამ ნაირი უმეცარი მასწავლებელი ბრძანდება სიონის სობოროს ზარების მრეკელი, რომელიც ამას წინედაც „დროების“ საშუალებით იყო დათხოვნილი, რომ ხელი აელო ყმაწვილების სწავლებაზედ, რადგან ყველამ შეიტყო, რომ იმას არაფერის სწავლება არ შეუძლია. ამ ბატონისგან შაგირდებს გამოაქვთ სარგებლის მაგივრად, გონებითად და გიგიენურად დამახინჯება, აგრეთვე პატარა შაგირდები ღებულობენ მისგან ხშირად ცემა-ტყეპას და ლანძღვა-გინებას, რომელშიაც ის ძრიელ კარგად გავარჯიშებული ყოფილა.

„ახლა მაინც არის ჩვენს ქალაქში რამდენიმე პირველ-დაწყებითი სკოლები. ფულზე თუ იტყვიან მშობლები, ბევრი დაგვეჭირდებაო, სცდებიან: სკოლაში ნაკლებ ფასად ასწავლიან, ვინემ ეგ ვიღაც სიონის ზარების დამრეკი და ზოგან სულ მუქთადაც არის სწავლა. ამ ჟამად ამ ცრუ ოსტატთან სწავლობენ ოც-და-ათზე მეტი შაგირდები, რომელთაც სასწავლებლად აქვთ საჯინიბო ანუ თავლა, სადაც ცხენების სუნით სტკბებიან!....

---

და შემთხვევა, რომ დამეკმაყოფილებინა ჩემი მშვენიერი, პაწაწკინა დაროს სურვილი...

ბევრს აღარ გავაგრძელებ, თუ რა შთაბეჭდილებაც მოახდინა ჩემზედ საყვარელმა შვილმა და ჩემი ცოლის ქცევამ, რომელმაც ჩამომახსნა ყელიდგან დარო და დაუწყო თავის მხრივ კაკვების და ზიზიების დაპირება: ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩემმა უეცრივ ფერის შეცვლამ, სახის დაღრეჯამ და ორმა-სამმა მსხვილმა ცრემლმა ყმაწვილს უნებურად ერთს წამს უკან დააწევინა და ჩემი ცოლი იძულებული იყო მოეშორებინა ჩემთვის ბავშვი, თვითონ მომხვეოდა და ყმაწვილურად დავემშვიდებინე...

ამ საზარელს სცენას რითაც იყო ბოლო მოეღო, მაგრამ მაინც მთელს იმ დღეს ეს სურათი და ეს ვაგლახი გონებიდგან არ მომშორებია. რა არ გავიფიქრე, ღმერთო ჩემო, ამ დროს... ნაოცადიც კი რომ მომეყვანა აღსრულებაში მთელს იმ აღშფოთებულს გონების ნაწარმოებისა, უეჭველად უნდა ქვეყანას ჩავექავებინე, როგორც ავი სული, როგორც ბოროტი, მოძმის დაუნდობელი და ულირსი წევრი საზოგადოებისა!...

აი სწორედ ამ მდგომარეობაში ვიყავი, როდესაც შემატყობინეს, რომ ბეჟა მედუქნე გეძახისო. ხმაურობამ და გარედ მოწოდებამ გამომაფხიზლა, ხანგრძლივის დუმილიდგან და მოვიხმე ბეჟო. მერე რა ვნახე?!... ისა, რომ ეს წუწკი, ჩიფლახი, მთლად გაქონილი ბეჟო გამოჩნდა ჩემი საცოდაობიდგან გამოხსნის მიზეზად: მან მომმითავაზა, ისიც დიდის კადნიერებით, ოც-და-ხუთი მანეთი, ოღონდ შეკისრნა მისი „დახმარება“ „ხელის გამართვა“...

აქამდის მოქუშულს და შეჭმუხვნილს, უცებ გულზედ სევდა მომეშვა და ვამიელვა თავში კმაყოფილების იმედმა... თითქოს ეს საზიზღარი, მახინჯი კაცი საიდუმლოდ მომდარაჯებოდა, რომ ეპოვა ამ გვარი შემთხვევა და დაუყონებლივ ესარგებლნა ჩემის აღელვებით! მე წარმომიდგა თვალ-წინ დოსტოევსკის რომანის „Преступленіе и Наказаніе“-ეს სონიჩკა მარმილადოვისა, რომელშიაც ახლად მიცვალებული მწერალი ასე მშვენიერად ჰხატავს იმ აუარებელს სისაძაგლეს, რომელმაც აიძულეს უმანკო სული გაესყიდნა თავი.

აწ მეც სონიჩკაზედ არა-ნაკლებ მოვიქეცი: მე გავყიდე სინიდისი, პატიოსნება, გავყიდე კაცობა და დასასრულ გავყიდე მთელი ჩემი ნათელი წარსული...

თქვენ გკითხავთ: მაშ რა მექნა? კაცი მომეკლა? ქურდობა ჩამედინა? მერე სასჯელი ხომ აუცილებელი იყო ჩემთვის და ჩემთან უნდა დასჯილიყო საყვარელი ცოლ-შვილიც? ან კი როგორა ჰფიქრობთ: განა ეხლა კი ნაკლები სისაძაგლე ჩავიდინე? სრულიადაც არა. იგივე ქურდობა და იგივე სიმუხდლე.

სხვის საზარალოდ ვხმარობ აწ მე ჩემს ცოდნას: ვართმევ ოთხთა და ხუთთა, ვხდი მათ უნუგეშოდ, ულუკმა-პუროდ და ვაძლევ არა კაცს—ბეჟოს.

მე თითონა ვგრძნობ, საზარელი რამ ვარ... მითომ რა გამოვიდა, რომ ხანჯლით არა ვკლავ, ჩუმად არ ვქურდობ? მაშ რა არის, თუ არ ქურდობა, თუ არ კაცის-კვლა, როდესაც წურბელა ბეჟოსგან ვიღებ ნდობის ქაღალდს, ვდავობ მისს მაგიერ სასამართლოში და არ კუთვნილს ვაკუთნებ! საზიზღარი ვარ მით უმეტეს, რომ მე მესმის ეს ჩემი საზარელი საქციელი, საზარელი მთელის თავის ბუნებით, ყოველივე ცუდი მხრით და მაინც მისგან ხელს არ ვიღებ.

ამ ერთი საქციელით მე მოვსპე ზნეობითი კავშირი მთელს ჩემ მე-

„არ იქნება ურიგო, რომ ვინმე გამოცდილი, რიგიანად მომზადებული მასწავლებელი გახსნიდეს პატარა სკოლას სიონის გალავანში, როგორც ფრანგების ეკკლესიებთან არსებობენ. ამით შეიძლება დაკმაყოფილდეს სურვილი სწავლისადმი იმ ყმაწვილებისა, რომელნიც ტყუილ-უბრალოდ სცდებიან ზემოდ-ხსენებულ ოსტატთან.“

—

## ტაქსია

**სავაჭრო ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.**

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | 3 კ |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 10 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 12 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 11 კ. |

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ქარელი**, 28 ნოემბერს. ხშირად ვტყობულობთ თქვენის პატივცემულის გაზეთით, სკოლების და ბანკების ყოველს მაზრებსა და სოფლებში გახსნაზედ. და ისიც ზოგიერთს ისეთს ადგილებში, საიდანაც ჩვენ სრულიად იმედი არა გვქონდა თუ იმისთანა მოთავენი ეყოლებოდათ; მაგრამ რაკი დაჭეშმარიტებით გვესმის, მტკიცდება, რომ სწორედ კარგი მოთავეს ხელოვნებით ადვილი შესაძლო არის ყოვლის სოფლის საზოგადოებისთვის იკისროს სასარგებლო საზოგადო რამ საქმე, და დიდადაც მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, ვინც სოფლის საზოგადოებისთვის ამ გვარს საქმეებს კისრულობენ.—

სამწუხაროდ, ჩვენს სოფელს ჯერ არავინ აღმოუჩნდა ამ გვარი გულის შემატკივარი.

მოგეხსენებათ, სოფლის ქარელის მცხოვრებნი და მის მახლობლის ხვედურეთისა და სხვა სოფლებისა არიან მარტო თავადნი ციციშვილები არა ნაკლებ ორმოც-და-ათის კომლისა, აზნაურთა და გლეხთ გარდა; ქარელიდგან ხვედურეთით და მის მახლობლად გარშემო სოფლებში უნდა იყვნენ სულ თავად-აზნაურნი და გლეხნი ოთხს კომლზე მომეტებული.

ამ სოფლების (საციციანოსა) არც თავადი და არც აზნაურ-გლეხნი არ არიან, რომ არ შეეძლოსთ სკოლისა და ბანკის დაარსება. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არვინ გვყავს მოთავე, და ვართ ჯერ-ჯერობით სხვა სოფლებზედ ესრეთ ჩამორჩომილნი. მაგალითად ავიღოთ ერთი გორის მაზრის სოფელი რუისი: დღეს იქ არსებობს სკოლაც და ბანკიც.

თუმცა კი ზოგიერთა პირთა აქაც გულით და სულით ჰსურთ, რომ ზემოხსენებული სკოლა, ბანკი და სხვა ამგვარები დაარსდეს; მაგრამ რა ჰქნას, ბატონო, თითო-ოროლამ, როდესაც ჩვენში ისეთი მეცნიერნი ზოგიერთები გვირევიან, რომელთანაც უსწავლელნი და ღარიბნი ვერას ჰბედავენ! ამ პირებმა კრიტიკა დაუსიამოვნება არავის აღუდგინონ არ მოისვენებენ; და ამისათვის ჩვენც ჯერ-ჯერობიდ ჩუმათ ვართ და ვნახოთ ბოლო რით გადუწყდება ამ ჩვენს უბედურს სოფელსაც; ტყუილად არ უთქვამს იმ კურთხეულს პირს, როგორც არის ნათქვამი, რომ დარბაისელნი ამოწყდენ და შარვბს დარჩათ მეიდანიო“. სწორედ ჩვენს სოფლის საზოგადოებას დაემართა ესეთი საქმე და ამისათვის ნურვინ იტყვის თუ ამდენს სოფლებში რად არ არსებობს ეს კეთილი საქმე, აი ამისთანა მეცნიერების წყალობით.

მარტო ამითაც არ არიან ეს ჩვენი სოფლები უნუგეშონი: სასოფლო სამმართველო გვქონდა და იმითაც უნუგეშონი დავრჩით, ჩვენის სოფლის სანაქებო მოსამართლების წყალობით: კვირაში ერთი დღე, ისიც კვირაობით, იყო დანიშნული საქმეების გასასინჯად; ის კვირა დღეც სრულებით მოსპეს და სოფლის კანცელარიაში მოზდოკური თაგვების მეტი არავინ სუფევენ! აგერ ექვსი თვე იქნება, შიგ არც ერთს მოსამსახურეს არ შეუდგამს ფეხი. ჩვენი მოხელეების მსაჯულება მიკიტანხანაში მდგომარეობს, იქ გახლავან აქაურნი მოსამართლეები დოქ-ჯამებით და ჯიხვებით მწარმოებელნი თითოს და ოროლის თუნგის ღვინის ქრთამებით! მთელი დღე რომ იაროთ სოფელში და სძებნოთ ეს სანაქებო პირნი—მოსამართლენი, ვერც თავიანთ სახლში და ვერც სოფლის კანცელარიაში ვერ ნახავთ.

ამის გამო გახლავთ, რომ კვირა ისე არ გაივლის თითო რამე არ დაიკარგოს ჩვენს სოფლებში: ხან ცხენები იკარგება, ხან წვრილ-ფეხი საქონელი, ხან ავეჯეულობა და სხვ.

ამ მცირეს ხანში ერთის გლეხის ოჯახში აღმოჩნდა ბევრი ნაპარავი: პურის ხორბალი, ბატები და სხვა ნივთები აქაურის მცხოვრებლებისა. იმ გლეხზედ სრულიად ვერავინ ვიფიქრებდით ამ გვარს მოქმედებას, მაგრამ როგორც გვესმის ის ურიებისაგან ყოფილა შესყიდული იმ სახით, რომ რაც სადმე ექურდნათ, [illegible]-ვის სახლში დაემალა[illegible].

ქარელელი.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! ამ ორი თვის წინედ მე მომიხდა გამგზავრება სამცხე-საათაბაგოსკენ და ზოგიერთი სოფლების ნახვა. ზოგიერთმა იქ მყოფმა პატივცემულ პირებმა მითხრეს, რომ კაი იქნებოდა, რომ აქეთ როგორმე წიგნები მოგეშველებინათო, რომელსაც ჩვენ დავარიგებთ ხალხში და ვეცდებით, რომ მოვფინოთო განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც მართლ-მადიდებელ და კათოლიკე ქართველებთან მაჰმადიანი ქართველებიც მოსახლობენო; სთქვეს, აქეთკენ წიგნების გამოგზავნა მით უფრო საჭიროაო, რომ აქეთა მხრის სკოლებში, რომლებიც დაარსებულ არიან „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოებისაგან“, მარტო რუსულსა და თათრულს ენას ასწავლიან და ქართულს კი არაო; რუსულს ენას, როგორც სახელმწიფო ენასო და თათრულს კი როგორც მათი სარწმუნოების და თითქო სამშობლო ენასაო. კაი იქმნებოდაო, რომ იმ სკოლებში და სხვა მივარდნილს სოფლებში, სადაც ქართველი ტომის ხალხი მოსახლობს, მუქთად დაურიგებდეთ წიგნებსაო.

ამ საქმის მოთაოეობა და დარიგება იკისრეს ბ. ილ. ალხაზაშვილმა—ახალქალაქის აფთიაქის პატრონმა და მღ. ივ. ბვარამაძემ (ვინმე მესხი).

ამ მიზნითა და განზრახვით მე გავმართე ხელის-მოწერა და, ჩემის მხრით, ვსწირავ შემდეგ წიგნებსა:

**ყარამანიანი**—10 ეგზ., **ლექსნი**, ნაკაშიძისა—15, **ტრაგედია**, ალ. ორბელიანისა—10, **მერცხალი**, ჯანაშვილისა—20, **ალექსიანი**—20, **ლექსები** ორლანოვისა—5, **გლოვა ირაკლისა**, სოლომონ მსაჯულისა—30 და

---

გობრებთან, მოვსპე კავშირი ვონებისა და გრძნობის შუა და დღეიდგან უნდა ვიქმნე პირ-შავი ერთთანაც, მეორესთანაც და მესამესთანაც.

ერთის სიტყვით მე უნდა დავადგე იმ გზას, რომელსაც დაადგა და სიკვდილამდის აღარ მოჰშორებია ისაკ მეჯლანუაშვილი, ე. ი. მოტყუილებით, ფლიდობით, ორ-პირობით არა თუ თავი დავირჩინო, იქნება რომ კიდეც გავმდიდრდე. დასასრულ მე უნდა წინა აღუდგე ჩემს პირ-და-პირ დანიშნულებას, გადავსდო გვერდზედ უკეთესი მიზნები საერო მასწავლებლისა, დავიწყო დავრდომილთა და ჩაგრულთა ცრემლის დენა და შეუდგე ბოროტების და უცოდო-მადლობის კვალსა.

ძვირად, ძრიელ ძვირად მიღირს მთლად ჩემი წარსული, მთლად ის, რაც შეადგენდა ჩემს ცხოვრებაში ყვავილს შამბნარში... ამ ერთის საქციელით კი უნდა გაქარწყლდეს ის, რაც მთელი წლობით ვაი-ვაგლახით და ტანჯვით შევიძინე!

პირველად სჭირს, ხამად, ცხელის წყლის აუზში ჩასვლა, თორემ ამასაც შეჩვევა სცოდნია. პირველის შემდეგ მეორე და მესამე სისაძაგლე მეადვილა და უკანასკნელად სულ უბრალო შემთხვევამ დამაფიქრა, გონზედ მომიყვანა, გამამიყვანა გონების ბურუსიდგან, როგორც ანთებით ავადმყოფი ცივმა წყალმა და....

ეს მეექვსე წელიწადია ჩემი ამ ასპარეზზედ მოქმედებისა. მთელს ამ ხანში რაც კი შემეძლო ერთგულად ვემსახურებოდი და არ ვღალატობდი ჩემს დედა-აზრს; კვეხნით ვიტყვი: გამივარდა სახელი მართალის და ღვთისნიერი კაცისა. თვით ჩემი მთავრობისგანაც მიჩნეული ვიყავ: მომივიდა ოფიციალურად მადლობა არა ერთხელ და ორჯერ, მესამეთაც; მხოლოდ უკანასკნელად გულმა აღარ გამიძლო და ეს შრომისა და ერთგულებისათვის მადლობის ქაღალდი ცეცხლში ვტყორცნე... ერთი თქვენ მიბრძანეთ, ბატონებო: რომელი დიდი ყმა და მამულის პატრონი ვარ, რომ მატერიალური შემწეობა ულირს ჯილდოდ მიმაჩნდეს და ათი უმნიშვნელო სიტყვა კი დიდ უნჯად?

მას დღეს უკან გაბრაზებული ჩემს მწარე ბედზედ განუწყვეტლივ ვიბრძვი; ვაძლევდი ჩემს თავს ათას გვარს კითხვებს და მევე ვხსნიდი ხან აქეთ და ხან იქით მხრივ... თასი ალივსო, მოთმინების ნერვი გაწყდა და თავის თავად გაიხსნა ზოგის კვანძი. ნუ თუ დამნაშავე ვარ? მე ვარ იმდენად დამნაშავე, რამდენადაც კი შეუძლიან კაცის სუსტს ბუნებას ებრძოლოს გარს-შემორტყმულს აუარებელ მუხანათობას...

კიდევ უფრო მაბრაზებს და გულს მითუთქავს ის, რომ ჩემი მართებლობა შოულობს ას თუმნობით სასწავლებლის შენობისათვის, ათ თუმნობით მისს მოწყობილობისთვის და საკმარისზედ გადაჭარბებულ ბიბლიოთეკისათვის და არც ერთს შაურს მასწავლებლისთვის იმის გარდა, რაც მას ჯამაგირად ეძლევა...

ბულმა აღარ მომითმინა, რომ არ გამომეაშკარავებინა ჩემი განსაცდელი და აწ თვით მკითხველისთვის მიმინდვია ამ საქმის დაფასება.

ვინ იცის რა ბოლო აქვს ჩემს აწ მდგომს, მხოლოდ ის კი ცხადი უნდა იყვეს, რომ, თუ გარემოება არ იცვლის ფერს, იძულებული ვიქმნები გარდავიქცე სოფლელ „ადუკანტად“, მოარზედ და საზოგადოდ სხვა კაცის წამწყმედ ბიწიერების პატრონად..

სოფლის მასწავლებელი.

22 ნოემბერს.

ისტორიული წიგნები, დ. ბაქრაძისა— 30 ეგზ.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნისა და ენის მოყვარე პირნი ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევენ და ვინც რას გაიმეტებს, წარმოგზავნიან ზრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ჩემს სახელობაზე.

როდესაც საკმარისად შეგროვდება წიგნები, გაეგზავნება ზემოხსენებულთ პირთ და მღვ. პაატიანსა, რომელიც ახალქალაქის მაზრაში იმყოფება. შემომწირველთ სია გამოცხადდება გაზეთში.

ზაქარია ჭიჭინაძე.

30 ნოემბ., 1881 წ.

# განცხადებანი

## ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პერალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად.

ინგლისის მაღაზიაში.

(40—5)

## აუქციონი

5, 12 და 19 ქრისტეშობისთვეს 1881 წელს კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზში იქნება გასყიდვა (აუქციონი) ოქრო-ვერცხლის და მცირფას თვალეულის ნივთებისა (3—1)

მცოდნე ბუღალტერიისა ეძებს ადგილს მარტო საღამოობით, 4 საათიდამ. ადრესი: ამაღლების ქუჩა, ჯანყულოვის სახლი, როტინოვის სადგომში, № 6. (3—2)

### თიანეთის დამზოგველი

რომელმაც დაიწყო თავისი მოქმედობა ამ 1881 წელს 31-ს ოქტომბერს, ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ის თავისს წესდების ძალით, ჰკისრულობს და ასრულებს მოთხოვნილებას ყველასაგან შემდეგ საგნებზე, ესე იგი იყიდის მონდობილობით:

1) ორმოცს ათას ფუთს თუშურს მატყლსა;

2) ოცი ათასს ფუთს თუშურს ყველსა;

3) ექვსი ათას ფუთს მთის ერბოსა;

4) ასი ათასს ქათამს და სხვა ფრინველს და

5) ოცი ათას საკლავ—ცხვარს.

ყველა აქ მოხსენებული ნაწარმოები თიანეთის მაზრის დამზოგველ საზოგადოებას აქვს თითქმის ხელში ყოველ დროისთვის, რადგან იგი საზოგადოება არის შემდგარი თვით ხსენებულ საგნით მაწარმოებელთაგან.

ვისაც ზემოხსენებულ ნაწარმოებათა პირ-და-პირ, უნდა სურდეს მიმართოს საზოგადოებას და მიიღებს საქონელს იმა საზოგადოების შუამავლობით, თუ რა პირობით ეკვრება დამზოგველი საზოგადოება ნაწარმოების მოითხოვს, შეიძლება ამაზე გაგება მოწერილობით შემდეგის ადრესით:

თიანეთს, დეპოში თიანეთის დამზოგველ საზოგადოებისა.

**Въ Тіонеты. Въ Тіонетское Общество бережливости.**

(3—2)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.

(100—86)

ლონდონის მაღაზია კომერციულ ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშნივინი ზეთისა) და სხვ. საკვენტრო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვავნას გიარები. (100—49)

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში

გადმოვიდა ცენტრალური

## სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, გარანცოვის მეგლის პირ-და-პირ, ლიხათანსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყველაფერით შემიმკია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან ძიროთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით მრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე

(15—14) ლევან ოლახერაშილი.

### მოწმობა

მოწმობა ესე მიეცემის თფილისის გუბერნიის საექიმო განყოფილებიდამ თფილისის მეორე გილდიის ვაჭარს სამსონ მიხაილის-ძის მღებროვს, რომ პროვანსსის ზეთი, რომელიც მზადდება მის ქარხანაში მედიკურის გამოკვლევის შემდეგ, აღმოჩნდა კარგის ხარისხისა, რასაც ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ვამტკიცებთ ენკენისთვის 11-ს 1881 წელსა ქ. თფილისი. თფილისის გუბერნიის ექიმის თანამდებობის აღმასრულებელი სტატსკი სოვეტნიკი.

ვ. კარპოვიჩი.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ მე თითონ პასუხს ვუგებ ჩემი ქარხნის ზეთის სიკარგეში იმ პირთ, რომელნიც მას იყიდიან პირ და პირ ქარხანაში, ანუ სალდათისბაზარში № 11, სადაც ისყიდება კერძოდ ჩემი ფირმის ზეთი.

### კოპტონი.

აჩვენეთ თქვენ საქონელს ჩემი ქარხნისას, რომ ათ დღეში შესანიშნავად გაგიხუქდეთ; საქონელი ფუთი ათი მაური ყოველ კამისიას მტკიცედ და მსწრაფლად ვასრულებ. ერევნის ქუჩაზედ, ჩემს საკუთარ მამულში. (5—5)

ვილებ გასაკეთებლათ კანკელისა, სტოლიარისა, ჩუქურთმისა, და ვარაყის საქმეებს. ვაკეთებ აგრეთვე სურათისათვის რამკებსა და ესხამ მუშებსა. აგრეთვე სურათებს ვეფერავ ლაქით, რომ გაბრწყინდეს მშვენივრათ. საზოგადოებას ყოველთვის შეეძლება, რომ ზემო-აღნიშნული საქმეები სუფთათა გაკეთებული მიიღონ და რაც შეიძლება იაფად.

ფაბრიკა ჩვენი იმყოფება სპიორის ქუჩაზე, მელიქოვის სახლის უკან, მაღაზია. № 8

დავით გიგაური.

(3—1)

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვ, და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—22)

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადაგას ჩაი, კაკაო, შოკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი გაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—39)

### ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| [illegible] 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—63)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Декабря 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.